ინფორმირებულობა

რისი და
რატომ?

მზადება

მზარდი
გამჭვირვალობა

მოქმედება

ნათელი და
ზუსტი

კომუნიკაცია

კომუნიკაცია

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული სკოლები

თქვენ, როგორც სკოლის ხელმძღვანელი, ალბათ უჩვეულო შემოთავაზებას წააწყდებით: შეაფასოთ საკუთარი სკოლა ადამიანის უფლებების ჭრილში. ამ თემაზე ფოკუსირებას შეიძლება ჰქონდეს ბევრი დადებითი ასპექტი, ყველაზე მნიშვნელოვნად კი ითვლება შემდეგი: საკმარისად უწყობს თუ არა ხელს ძირითადი ღირებულებების სისტემა თქვენი სკოლის ინკლუზიურ სწავლებასა და თითოეული მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. მასწავლებლები, სკოლის პერსონალი, მშობლები, სკოლის საბჭო და თავად თქვენც, აქტიურად ხართ თუ არა ჩართულნი ამ ძალისხმევაში და თითოეული თქვენგანი თუ განიცდით ურთიერთპატივისცემას?

ამ მიზნით, გთავაზობთ ხუთი საკითხის განხილვას, რომელთაც ხუთი შესაბამისი კითხვა მოჰყვება:

1. არის თუ არა თქვენი სკოლა **აქტიურად ინკლუზიური** ყველა მოსწავლის ჩართულობის მხრივ? განსაკუთრებით მათთვის, ვინც "განსხვავებულია" ეთნიკურად, კულტურულად, ენობრივად, სოციალურ-ეკონომიკურად და სხვა უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების თვალსაზრისით?
2. არის თუ არა თქვენი სკოლა **აკადემიურად ეფექტიანი და რელევანტური**, რაც მოიაზრებს მოსწავლეთა მოთხოვნილებების გაუმჯობესებას ცხოვრებისეული უნარებისა და საჭირო ცოდნისა და კომპეტენციების თვალსაზრისით?
3. არის თუ არა თქვენი სკოლა საკმარისად **ჯანსაღი და უსაფრთხო**, რათა უზრუნველყოს მოსწავლის ემოციური, ფსიქოლოგიური და ფიზიკური კეთილდღეობა?
4. აქტიურად იღებს თუ არა მონაწილეობას თქვენი სკოლა **გენდერული თანასწორობის** მხარდამჭერი გარემოსა და კომპეტენციების შექმნაში?
5. აქტიურად უწყობს ხელს თუ არა თქვენი სკოლა მოსწავლეების, მათი ოჯახებისა და საზოგადოების ჩართულობას სასკოლო ცხოვრების **ყველა ასპექტში**?

ხუთივე საკითხისთვის იხილავთ მოკლე შესავალ ტექსტს თქვენი და თქვენი თანამშრომლების ინფორმირებულობის გასაძლიერებლად, რასაც ერთობლივი მიმოხილვის შემდგომ, მოჰყვება ინდიკატორთა სია. საჭიროების შემთხვევაში, შეგიძლიათ, დაამატოთ თქვენთვის საინტერესო სხვა საკითხებიც.

ჩვენი შემოთავაზება თვითშეფასებისთვის შემდეგია:
გუნდთან ერთად აირჩიეთ ხუთი საკითხიდან **ერთ-ერთი**. ამ არჩეული თემის ფარგლებში, გთხოვთ, ისევ შეამციროთ შეფასების სისტემა თქვენთვის ყველაზე საინტერესო 10 ინდიკატორამდე.

	(საკითხი 1) ინკლუზიურობა	**(საკითხი 2) ეფექტიანობა**	**(საკითხი 3) ჯანმრთელობა და უსაფრთხოება**	**(საკითხი 4) გენდერული კეთილგანწყობა**	**(საკითხი 5) საზოგადოების ჩართულობა**
საკვანძო შეკითხვა	რამდენად ინკლუზიურია ჩემი სკოლა და როგორია ინკლუზიის კონცეფციის გაგება ჩემს სკოლაში კვალიფიციურ პირებს შორის?	რამდენად აკადემიურად ეფექტიანია ჩემი სკოლა ყველასთვის ხარისხიანი განათლების მიწოდებაზე ორიენტირებული დანაპირების შესრულებაში?	რამდენად ჯანსაღი და უსაფრთხოა ჩემი სკოლა მოსწავლეთა ემოციური, ფსიქოლოგიური და ფიზიკური კეთილდღეობის თვალსაზრისით?	აქტიურად იღებს თუ არა მონაწილეობას ჩემი სკოლა გენდერული თანასწორობის მხარდამჭერი გარემოსა და კომპეტენციების შექმნაში?	რამდენად აქტიურად უწყობს ხელს ჩემი სკოლა მოსწავლეების, მათი ოჯახებისა და საზოგადოების ჩართულობას სასკოლო ცხოვრების ყველა ასპექტში?

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული სკოლები - საკითხი 1:

ჩემი ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული სკოლის ინკლუზიურობა

შესავალი

სხვა სკოლების ხელმძღვანელების მსგავსად, თქვენთვისაც ცნობილია, რომ მრავალ მნიშვნელოვან საერთაშორისო კონვენციაში განათლების უფლება აღიარებულია როგორც ადამიანის უფლება.

კერძოდ, გაეროს ბავშვის უფლებების კონვენცია (CRC) 18 წლამდე ბავშვების უფლებებზე ამახვილებს ყურადღებას. იგი ცნობს განათლების უფლებას, როგორც კანონიერ უფლებას და თანაბარ შესაძლებლობას ყველა ბავშვისთვის. კონვენციის 28-ე მუხლი უზრუნველყოფს უფასო და სავალდებულო დაწყებით განათლებას ყველასთვის, პროგრესულ უფასო საშუალო განათლების ხელმისაწვდომობას და ამასთან, უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას. მასში მითითებულია სახელმწიფოს ვალდებულება, მიიღოს ზომები სკოლაში დასწრებისა და დისციპლინის შესახებ ბავშვის ღირსების დასაცავად. იგი ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას განათლების კუთხით, კერძოდ, უმეცრებისა და უწიგნურობის ლიკვიდაციის ხელშეწყობის და სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების ხელმისაწვდომობის გაადვილების მიზნით.



29-ე მუხლი განსაზღვრავს განათლების მიზნებს და აღიარებს ბავშვების ინდივიდუალურობას. რეკომენდაციას იძლევა, რომ განათლება მიმართული იყოს თითოეული ბავშვის პიროვნების, ნიჭისა და შესაძლებლობებისკენ.

მთლიანობაში, ხელმისაწვდომობის შესახებ დებულებების გარდა, განათლების უფლება მოიცავს სახელმწიფოთა ვალდებულებებს, თავი შეიკავონ დისკრიმინაციისგან საგანმანათლებლო სისტემის ყველა დონეზე და დააწესონ მინიმალური საგანმანათლებლო სტანდარტები განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ახლა კი: თქვენ ხართ სკოლის ხელმძღვანელი. გაქვთ შეზღუდული რესურსები და დგახართ რუტინისა და ყოველდღიური პრობლემების გადაჭრის წინაშე. სკოლის საბაზისო ფუნქციონირების უზრუნველყოფა თავისთავად უზარმაზარი ამოცანაა. გარდა ამისა, უნდა შეინარჩუნოთ კეთილგანწყობილი და აღმზრდელობითი გარემო, და მისცეთ ყველა მოსწავლეს განათლების შესაძლებლობა განურჩევლად მათი სქესის, ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ენობრივი ან სხვა ინდივიდუალური მახასიათებლებისა. თქვენი სკოლა უნდა იყოს ინკლუზიური ინსტიტუტი, რაც ბევრ ქვეყანაში კანონით სავალდებულოა. როგორი შესანიშნავი დავალებაა!

თქვენ ხართ პასუხისმგებელი იმაზე, რომ სკოლის ყველა თანამშრომელმა პატივი სცეს და ხელი შეუწყოს მრავალფეროვნებასა და ყველასათვის თანაბარ შესაძლებლობებს. მეტიც, უნდა ისურვოთ, რომ ყველამ განიხილოს მრავალფეროვნება, როგორც შესაძლებლობა და არა როგორც დაბრკოლება ხარისხიანი განათლების მისაღებად.

თუმცა, რა მდგომარეობაა თქვენთან ამ მიმართულებით? როგორია თქვენი საკუთარი მოგონებები, როდესაც საქმე ეხება ინკლუზიურობას? ოდესმე პირადად გამოგიცდიათ გარიყულობა? ყოველთვის იყავით წარმატებული მოსწავლე, მასწავლებელი და სკოლის ხელმძღვანელი, რომელიც ცდილობდა ცნობიერების ამაღლებას მაშინაც კი, როცა დანარჩენების ჩართულობა დაბალი იყო იმავე პროცესებში? მნიშვნელოვანია ამ საკითხის კრიტიკულად მიმოხილვა და საკუთარი მდგომარეობის, გამოცდილებისა და ღირებულებების თვითშეფასება. ამით თქვენ აძლევთ სხვებს ინკლუზიურობის გამოცდილებას და მტკიცებულებას იმის შესახებ, თუ რამდენად ინტენსიურადაა HRBS ჩართული პრაქტიკულ ცვლილებებში, რათა ყველა მოსწავლეს მიეცეს წარმატების მიღწევის საშუალება, განურჩევლად მათი წარმომავლობისა ან უნარებისა და კომპეტენციებისა. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეს ცვლილებები თქვენი სკოლის ყველა მოსწავლისთვის იქნება სასარგებლო, ვინაიდან ისინი მხარს უჭერენ ხარისხიან სწავლებასა და ყველასათვის სწავლის შესაძლებლობის მიცემას. გარდა ამისა, მხოლოდ მოსწავლეები არ სარგებლობენ ამით - ყველა დანარჩენი იგრძნობს თავს პროცესის მონაწილედ. ინკლუზიურ მიკროსაზოგადოებაში, რომელიც მოიცავს მშობლებს, მასწავლებლებს, სკოლის პერსონალსა და ადმინისტრაციას, საბჭო და საზოგადოების ყველა წევრი ითანამშრომლებს სკოლასთან. მზად ხართ ამ თავგადასავლებისთვის?

რაც მთავარია, თქვენს მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ ან უნდა განივითარონ ინკლუზიის ფართო გაგება. შეხვედრებზე, თქვენს სპეციალისტებთან ერთად (სკოლის პედაგოგი, ფსიქოლოგი ან მასწავლებლები, რომელთაც ამ სფეროში დამატებითი ტრენინგი აქვთ გავლილი), უნდა გამონახოთ გზები მასწავლებლების ამ მხრივ განვითარებაში მხარდასაჭერად.

პირველ რიგში, ყველა დაინტერესებულ პირს უნდა ჰქონდეს ინკლუზიურობის სწორი გაგება. ქვემოთ აღნიშნული შეიძლება დაგეხმაროთ კონცეფციის გაგებაში.

განათლებაში ჩართულობა იმაზე მეტია, ვიდრე ეს ბევრს წარმოუდგენია! https://inclusiveeducation.ca/about/what-is-ie/ 18 აგვისტო 2020)

მე-20 საუკუნის დასაწყისში, მისი დანერგვიდან ბოლო ხანებამდე, „ინკლუზიური განათლება“ საკლასო სწავლების ძირითად ინსტრუქციაში გაგებული იყო, როგორც „შშმ მოსწავლეების ჩართულობა“ ან „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები“. ბევრს ეს ტერმინი ჯერ კიდევ ასე ესმის.

ინკლუზიური განათლება ნიშნავს, რომ სკოლები მუდამ მზად არიან მოსწავლეები მიიღონ ასაკის შესაბამის, რეგულარულ კლასებში და ხელი შეუწყონ მათ სწავლასა და ჩართულობას სასკოლო ცხოვრების ყველა ასპექტში.

ინკლუზიური განათლება დაკავშირებულია იმასთან, თუ როგორ ვავითარებთ და ვაყალიბებთ სკოლებს, ჩვენს პროგრამებსა და აქტივობებს ისე, რომ მოსწავლეებმა შეძლონ ისწავლონ და გუნდურად იმუშაონ.

ინკლუზიური განათლება უზრუნველყოფს ყველა მოსწავლისთვის ხარისხიან განათლებაზე წვდომას ისეთი საშუალებებით, როგორიცაა გულისხმიერება, მიმღებლობა, პასუხისმგებლობა და მხარდაჭერა, მათი მრავალფეროვანი საჭიროებების ეფექტიანად დაკმაყოფილების მიზნით. მოსწავლეები მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამაში საერთო სასწავლო გარემოს ფარგლებში, რათა შემცირდეს და აღმოიფხვრას ბარიერები და დაბრკოლებები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს გარიყულობა.

ინკლუზიური განათლება მიმდინარეობს საერთო სასწავლო - საგანმანათლებლო გარემოში, სადაც სხვადასხვა წარმომავლობისა და სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები ერთად სწავლობენ ინკლუზიურ გარემოში. საერთო სასწავლო გარემო საჭიროებს მოსწავლეების საგაკვეთილო საათების უმეტესობას და მოიცავს გაკვეთილებს საკლასო ოთახში, ბიბლიოთეკაში, სპორტულ დარბაზში, თეატრსა თუ მუსიკის ოთახებში, კაფეტერიებში, სათამაშო მოედნებსა და ადგილობრივ დასახლებაში. ამრიგად, საერთო სასწავლო გარემო არის ადგილი, სადაც გონებრივად ჩამორჩენილ ან სხვა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს შეუძლიათ ისწავლონ არა ცალკე, არამედ თანატოლებთან ერთად.

ეფექტიანი საერთო სასწავლო გარემო:

- თითოეულ მოსწავლეს საშუალებას აძლევს სრულად ჩაერთოს სასწავლო გარემოში, რომელიც განკუთვნილია ყველა მოსწავლისთვის და გაზიარებულია თანატოლებთან ერთად არჩეულ საგანმანათლებლო გარემოში.
- აყალიბებს დადებით ატმოსფეროს, ხელს უწყობს კუთვნილების შეგრძნებას და უზრუნველყოფს მოსწავლეთა პროგრესს შესაბამისი პიროვნული, სოციალური, ემოციური და აკადემიური მიზნებისკენ.
- მხარდაჭერის დამაკმაყოფილებელი დონის უზრუნველყოფითა და მოსწავლეებზე ორიენტირებული სწავლების პრაქტიკისა და პრინციპების გამოყენებით, გულისხმიერია ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებებისადმი.
- საერთო სასწავლო გარემო: ინკლუზიური გარემო, სადაც სწავლება მიმდინარეობს სკოლაში შერეული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისთვისა და მათი თანატოლთა ჯგუფისთვის, მათი ინდივიდუალური მოთხოვნილებებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით და მოიცავს მოსწავლეთა საგაკვეთილო საათების უმეტესობას.

იმის უზრუნველყოფა, რომ თითოეულ ბავშვს საგანმანათლებლო წინსვლისთვის ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა, კვლავ რჩება გამოწვევად მთელი მსოფლიოსთვის. ხარისხიანი განათლების შესახებ მდგრადი განვითარების მიზანი 4 და განათლება 2030 სამოქმედო ჩარჩო ხაზს უსვამს ჩართულობასა და თანასწორობას, როგორც ხარისხიანი განათლების საფუძველს.

იმისათვის, რომ თქვენი სკოლა გახდეს ინკლუზიური განათლების მოდელი, თავიდანვე უნდა გყავდეთ ბევრი ისეთი კოლეგა, რომელიც იზიარებს იმავე შეხედულებებს. თქვენს გუნდთან ერთად უნდა შეიმუშაოთ ისეთი გეგმა, რომელიც საშუალებას მოგცემთ, უკეთესად განსაზღვროთ თქვენი სკოლის მდგომარეობა და ამ პროცესში რაც შეიძლება მეტი დაინტერესებული პირის ინტეგრირება მოახდინოთ.

მომზადება

რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას?

1. ჩამოაყალიბეთ გუნდი, ვისთან ერთადაც იმუშავებთ მთელი პროცესის განმავლობაში. თქვენს გუნდთან ერთად დაიწყეთ მიდგომის განხილვა და მხედველობაში იქონიეთ ინდიკატორების სია.

   ა. შეარჩიეთ ისეთი ინდიკატორები, რომლებიც მნიშვნელოვანია თქვენი სკოლისთვის.

   ბ. დაამატეთ ინდიკატორი, რომელსაც თვლით, რომ სიას აკლია.

   გ. შეავსეთ ფორმა, დაახლოებით, ათი ინდიკატორით, რომელიც თქვენთვის მნიშვნელოვანია. დარწმუნდით, რომ შეარჩიეთ რამდენიმე ინდიკატორი, რომელზეც დარწმუნებულები ხართ, რომ კარგად ასრულებთ და რამდენიმე, რომელშიც თვლით, რომ დამატებით განვითარება გესაჭიროებათ.

2. თქვენს გუნდთან ერთად მოამზადეთ სამოქმედო გეგმა და ვადები პირველი შეფასებისთვის, რაც შემდგომი განვითარების საწყისი წერტილი იქნება. შეფასებაში ჩართეთ:

   ა. მოსწავლეები

   ბ. მასწავლებლები

   გ. სკოლის პერსონალი

   დ. მშობლები

   ე. სკოლის საბჭო

   ვ. საზოგადოების წევრები, რომლებთანაც შესაძლოა თანამშრომლობდეთ

   ზ. ...

3. 3) შეიმუშავეთ სამოქმედო გეგმა და დრო. დარწმუნდით, რომ ისინი მოიცავენ

   ა. სკოლის პროფილს პირველი შეფასების შემდეგ.

   ბ. გადადგმულ ნაბიჯებს (მომდევნო 6 თვეში).

   გ. მეორე შეფასებას განვითარებული მოვლენების გასაგებად.

25 შესაძლო ინდიკატორი თქვენი სკოლისთვის ინკლუზიურობის შესაფასებლად:

1. სკოლას აქვს მისია და/ან ხედვა და პოლიტიკა ინკლუზიური, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული განათლების შესახებ, მათ შორის, დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის ჩათვლით.
2. მასწავლებლებს შეუძლიათ გაიგონ და ახსნან „ინკლუზიური განათლების“ სრული განმარტება (შეზღუდული შესაძლებლობების ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების გარდა).
3. ყველა მოსწავლე, რომელიც იმყოფება სკოლის იურისდიქციის ფარგლებში, დადის სკოლაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მშობლებმა გადაწყვიტეს შვილის კერძო ან სხვა სკოლაში გაგზავნა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
4. ყველა მოსწავლე მიეკუთვნება თავისი ასაკის შესაბამის კლასს.
5. სკოლა და მისი დაწესებულებები ფიზიკურად ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის.
6. სკოლამ იცის, რომელ პროფესიულ ორგანიზაციებს, პარაპროფესიონალებს, ადვოკატირების ჯგუფებსა და სათემო ორგანიზაციებს შეუძლიათ შესთავაზონ რესურსები ინკლუზიური განათლებისთვის, რომელიც სასარგებლოა სხვადასხვა წარმომავლობისა და შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისთვის.
7. სკოლა იყენებს მოსწავლეთა შეფასების რამდენიმე ტიპს და არ აფასებს მოსწავლეებს შეფასებითი ტესტების საფუძველზე, ამასთან, არ ასაჯაროებს მათ შედეგებს.
8. სკოლას შემუშავებული აქვს ზომები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეების დასახმარებლად, განსაკუთრებით, მათი უსაფრთხოებისა და სწავლების უზრუნველყოფის თვალსაზრისით (მაგ., ჟესტური ენის მცოდნეები, ბრაილის მასალები, მრავალენოვანი რესურსები).
9. მასწავლებლები სტუმრობენ „სამოდელო სკოლებს“ და/ან ესწრებიან სემინარებს ინკლუზიური კლასისა და სკოლის განვითარების შესახებ. ამრიგად, ისინი რეგულარულად იღებენ მონაწილეობას პროფესიულ ტრენინგებში, რათა განივითარონ საჭირო ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, კლასებში თავიანთი მოსწავლეების მოთხოვნილებების ინკლუზიური გზით დასაკმაყოფილებლად.
10. 1მშობლები და საზოგადოებრივი ჯგუფები იცნობენ ინკლუზიურ განათლებას და სთავაზობენ სკოლას იდეებსა და რესურსებს, რათა დაეხმარონ მას გახდეს უფრო ინკლუზიური.
11. სკოლა კონკრეტული გზებით ახდენს იმის დემონსტრირებას, რომ მის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებს ესმით ინკლუზიური განათლების მნიშვნელობა (ასეთი გზები მოიცავენ ისეთ მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლაზე წვდომის გარანტიას ყველა მოსწავლისთვის, მიუხედავად მათი წარმომავლობისა და შესაძლებლობებისა).
12. სკოლას ჰყავს (ან გეგმავს განავითაროს) მრავალფეროვანი სკოლის პერსონალი (დაკომპლექტებული სხვადასხვა წარმომავლობის ქალებისა და მამაკაცებისგან, რასობრივი, ეთნიკური, ფიზიკური შესაძლებლობების, რელიგიის, ენის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის და ა.შ. განსხვავებებით).
13. სკოლა პატივს სცემს ყველა რელიგიის მქონე მოსწავლეს; მოსწავლეებს აქვთ შესაბამისი შესაძლებლობა, სკოლაში გაეცნონ სხვადასხვა რელიგიისა და რწმენის სისტემას.
14. სკოლას აქვს სუფთა სასმელი წყლის მუდმივი მარაგი და მოსწავლეებს სთავაზობს ან ყიდის ჯანსაღ, ნოყიერ და მაღალი ხარისხის საკვებს/ხემსს, სხვადასხვა რელიგიის დაცვითა და პატივისცემით.
15. მასწავლებლებს ყველა მოსწავლის მიმართ აქვთ დიდი მოლოდინი, განურჩევლად მათი წარმომავლობისა და შესაძლებლობებისა და ხელს უწყობენ სკოლის დამთავრებაში.
16. მასწავლებლებმა იციან რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომია სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეების, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების დასახმარებლად.
17. ყველა მოსწავლეს აქვს სახელმძღვანელო და სასწავლო მასალა, რომელიც შეესაბამება მათ სასწავლო საჭიროებებს.
18. სასწავლო აქტივობები მიმდინარეობს მრავალ ფორმატში - ინდივიდუალური, წყვილებში, მცირე ჯგუფებში და მთელი კლასის სწავლების ფორმატში, რომელშიც უზრუნველყოფილია მოსწავლეების ჰეტეროგენული ჯგუფები.
19. მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება ისწავლონ მშობლიური ენა, სანამ ისინი ეუფლებიან სწავლების ოფიციალურ ენას (ენებს).
20. ყველა მოსწავლეს შეაქვს წვლილი სახელმძღვანელოებისა და წესების შემუშავებაში მათი კლასისა და სკოლისათვის, რათა ხელი შეეწყოს ინკლუზიურობას, ასევე, რათა მოხდეს დისკრიმინაციის, ძალადობისა და შეურაცხყოფის/სასტიკი მოპყრობის თავიდან აცილება.
21. სწავლისა და სწავლების პროცესები, ისევე როგორც სასწავლო მასალა, უზრუნველყოფს მოსწავლეების ჩართულობას დაბალანსებულად და არადისკრიმინაციულად, განურჩევლად მათი წარმომავლობისა და შესაძლებლობებისა.

22. სკოლის მიერ მიწოდებულ სასწავლო მასალებში სხვადასხვა წარმომავლობისა და შესაძლებლობების მქონე ბავშვები დადებითად არიან წარმოდგენილნი. მოსწავლეებს ესმით ინკლუზიური განათლების ცნება და შეუძლიათ სასწავლო მასალებში კულტურული, რელიგიური, ეთნიკური, გენდერული და სხვა მიკერძოებულობის ამოცნობა.
23. ფიზიკური შეზღუდვის მქონე მოსწავლეებს აქვთ ფიზიკური თამაშისა და განვითარების შესაძლებლობა.
24. სკოლის კულტურა, საჭიროების შემთხვევაში, ხელს უწყობს თანამშრომლობასა და გუნდურ მუშაობას მასწავლებლებს, სკოლის სხვა პერსონალს, მოსწავლეებს, მშობლებსა და საზოგადოების წევრებს შორის.
25. მოსწავლეები და მშობლები მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ქმედება:

თქვენს გუნდთან ერთად აირჩიეთ 10 ინდიკატორი სიიდან.

ინკლუზიურობისთვის შერჩეული ინდიკატორები	ინდიკატორის სტატუსი ჩემს სკოლაში 1-დან 10-მდე	გადასადგმელი ნაბიჯები (სადისკუსიო გუნდების მიერ შეგროვებული)
1)	1.....10	
2)	1.....10	
3)	1.....10	
4)	1.....10	
5)	1.....10	
6)	1.....10	
7)	1.....10	
8)	1.....10	
9)	1.....10	
10)	1.....10	

1. ზემოთ აღნიშნული სიიდან გამომდინარე, მოამზადეთ მასალა ან ფლიპჩარტები, რომლებიც გადაეცემა შეფასების პროცესში ჩართულ ყველა დაინტერესებულ მხარეს.
2. მოამზადეთ მრგვალი მაგიდები სხვადსხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად (მოსწავლეები, მასწავლებლები, თანამშრომლები, მშობლები, საბჭოს წევრები და ა.შ.). ისინი ერთმანეთს შეიძლება შეხვდნენ სკოლის დიდ ღონისძიებებზე ან დაგეგმილ შეხვედრებზე, მათი ხელმისაწვდომობის მიხედვით.
3. სთხოვეთ, განიხილონ თავიანთი შეფასება და კომენტარები.
4. დაავალეთ მათ გამოთქვან შემოთავაზებები გაუმჯობესების მიზნით.
5. შეაგროვეთ ყველა კომენტარი და შემოთავაზება თქვენს გუნდში.
6. შეიმუშავეთ მკაფიო და ქმედითი გენერალური გეგმა მომავალი 6-12 თვისთვის.
7. შეატყობინეთ გენერალური გეგმის შესახებ ყველა ჩართულ პირს.
8. დაგეგმეთ შემდეგი შეფასების პერიოდი (გამჭვირვალობა პირველ ადგილზეა!)

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული სკოლები - საკითხი 2:

ჩემი ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული სკოლის ეფექტიანობა

შესავალი

ყველა ბავშვს აქვს განათლების მიღების უფლება. ეს ძირითადი პრინციპი განივრცო გაეროს დღის წესრიგი 2030-ის მე-4 მიზანში. რაც ყველა პედაგოგმა უნდა იცოდეს და გაიაზროს, არის ის, რომ განათლება თავისთავად საკმარისი არ არის: ყველა ასაკის მოსწავლეს აქვს ხარისხიანი განათლების უფლება და ეფექტიანი სწავლის მიდგომა.

ამრიგად, თქვენი სკოლის მთავარი მიზანი სწორედ ამ ყოველივეს გარანტიაა: ყველა მოსწავლეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, გახდეს წარმატებული მოსწავლე - მათთვის შესაძლო მიღწევების დონეზე, განურჩევლად გენდერისა. განათლება, როგორც ადამიანის უფლება, ხელმისაწვდომი არ იქნება ყველასათვის, თუ თქვენ, როგორც სკოლის დირექტორი, არ ჰკითხავთ საკუთარ თავს, თუ რამდენად ეფექტიანია თქვენი სკოლა მის სისტემატურ მხარდაჭერაში და რამდენად წარმატებულები არიან თქვენი პედაგოგები ყოველდღიურ სასკოლო პრაქტიკაში ცალკეული მოსწავლეების მხარდაჭერის კუთხით.

სასწავლო გარემოს შექმნა, რომელიც ხელს უწყობს და ახდენს ხარისხის მკაფიო განმარტებას, სწორედ მე-2 საკითხის მთავარი თემაა, კერძოდ: ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული თქვენი სკოლის ეფექტიანობა. ეფექტიანი სწავლის მრავალი შესაძლო კრიტერიუმი არსებობს. შემდგომ ოთხ რუბრიკაში ჩვენ გთავაზობთ ხარისხის რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებას, ესენია: *სასწავლო გარემოს ხარისხი, მოსწავლეთა განწყობილება და სწავლისთვის მზადყოფნა, სწავლა-სწავლების პროცესები და შინაარსი, შედეგები.*

ხარისხიანი სასწავლო გარემო მოიცავს:

• პოლიტიკას და პრაქტიკას, რომელიც გამორიცხავს აშკარა და ფარულ დისკრიმინაციას, დამცირებას, ზეწოლას, ძალადობას, ფიზიკურ დასჯასა და მავნე ნივთიერებების გამოყენებას;
• დაწესებულებებს ადეკვატური საკლასო ოთახებით, სუფთა წყლის მარაგით და სანიტარული ოთახებით;
• მომსახურებას, რომელიც ხელს უწყობს უსაფრთხოებასა და ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ ჯანმრთელობას.

კარგი მსწავლელს სჭირდება:
• ჯანმრთელობა
• სათანადო კვება
• სწავლისთვის მზაობა
• მხარდაჭერა ოჯახისგან
• მხარდაჭერა უახლოესი გარემოცვისგან

ხარისხიანი სწავლა-სწავლების პროცესები და შინაარსი:

• მოსწავლეზე ორიენტირებული და ცხოვრებისეულ უნარებზე დაფუძნებული კომპეტენციები;
• განათლებისა და ტექნოლოგიის აპლიკაციები, რომლებიც შექმნილია უთანასწორობის შესამცირებლად და ხარისხიანი სწავლის ხელშესაწყობად;
• შესაბამისი სასწავლო გეგმები და წიგნიერებისა და ზოგადი უნარების განვითარებისთვის საჭირო ადეკვატური მასალები
• აუცილებელი ცოდნისა და ასევე, ცხოვრებისეული უნარებისთვის საჭირო კომპეტენციები.

ხარისხიანი შედეგები:

• განსაზღვრული სწავლის შედეგები (ცოდნა, დამოკიდებულებები და უნარები);
• მათი შეფასებისთვის საჭირო შესაფერისი გზები საკლასო ოთახში, სკოლასა და ეროვნულ დონეზე.

მომზადება:

რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას?

1. ჩამოაყალიბეთ გუნდი, ვისთან ერთადაც იმუშავებთ მთელი პროცესის განმავლობაში. თქვენს გუნდთან ერთად დაიწყეთ მიდგომის განხილვა და მხედველობაში იქონიეთ 28 ინდიკატორის სია.

   ა. შეარჩიეთ ისეთი ინდიკატორები, რომლებიც მნიშვნელოვანია თქვენი სკოლისთვის.

   ბ. დაამატეთ ინდიკატორი, რომელსაც თვლით, რომ სიას აკლია.

   გ. შეავსეთ ფორმა დაახლოებით ათი ინდიკატორით, რომელიც თქვენთვის მნიშვნელოვანია. დარწმუნდით, რომ შეარჩიეთ რამდენიმე ინდიკატორი, რომელზეც დარწმუნებულები ხართ, რომ კარგად ასრულებთ და რამდენიმე, რომელშიც თვლით, რომ დამატებით განვითარება გესაჭიროებათ.

2.თქვენს გუნდთან ერთად მოამზადეთ სამოქმედო გეგმა და ვადები პირველი შეფასებისთვის, რაც შემდგომი განვითარების საწყისი წერტილი იქნება. შეფასებაში ჩართეთ:

   ა. მოსწავლეები

   ბ. მასწავლებლები

   გ. სკოლის პერსონალი

   დ. მშობლები

   ე. სკოლის საბჭო

   ვ. საზოგადოების წევრები, რომლებთანაც შესაძლოა თანამშრომლობდეთ

   ზ. ...

3. შეიმუშავეთ სამოქმედო გეგმა და დრო. დარწმუნდით, რომ ისინი მოიცავენ:

   ა. სკოლის პროფილს პირველი შეფასების შემდეგ.

   ბ. გადადგმულ ნაბიჯებს (მომდევნო 6 - 12 თვეში).

   გ. მეორე შეფასებას განვითარებული მოვლენების გასაგებად.

28 შესაძლო ინდიკატორი თქვენი სკოლის ეფექტიანობის შესაფასებლად:

1) სკოლას აქვს ნათელი მისია და/ან ხედვა, რომელიც მკაფიოდ არის დემონსტრირებული და ადეკვატურად ახსნილი სკოლის ყველა პერსონალისთვის, მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვისა და საზოგადოების წევრებისთვს.

2) სკოლას აქვს პოლიტიკა, აკონტროლებს და ახორციელებს მას ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციის წინააღმდეგ, რომელიც დაკავშირებულია ბავშვების სკოლაში ჩარიცხვასა და სწავლებასთან.

3) სკოლას აქვს პოლიტიკა, აკონტროლებს და ახორციელებას მას ფიზიკური დასჯისა და ძალადობის ნებისმიერი სხვა ფორმის წინააღმდეგ.

4) სკოლას აქვს პოლიტიკა, აკონტროლებს და ახორციელებს მას სათანადო სანიტარიისა და ჰიგიენის დასაცავად მასწავლებლებისთვის, სკოლის პერსონალისა და მოსწავლეებისთვის.

5) სკოლის ხელმძღვანელს შემუშავებული აქვს სტრატეგიული მიმართულება და ეფექტიანი ხელმძღვანელობა წერილობითი საზედამხედველო გეგმის მიხედვით.

6) სკოლა კოორდინაციას უწევს ადგილობრივ სკოლამდელ ცენტრებს, რათა უზრუნველყოს ადრეულ ასაკში ბავშვების უწყვეტი განვითარების შესაძლებლობა.

7) სკოლას აქვს ადეკვატური მერხები, სკამები და საკლასო ოთახები ყველა მოსწავლის საჭიროებებისა და შესაძლებლობების დასაკმაყოფილებლად.

8) უზრუნველყოფილია სკოლის მოედნის საკმარისი სივრცე მოსწავლეებისთვის უსაფრთხოდ და, თუ შესაძლებელია, შემოქმედებითად სათამაშოდ.

9) სკოლის შენობები და ობიექტები სუფთაა, უსაფრთხო და რეგულარულად მოვლილი.

10) საკლასო ოთახები მოწესრიგებულია და აქვს სათანადო განათება, ვენტილაცია, გათბობისა და გაგრილების სისტემა.

11) ხელმისაწვდომია ადეკვატური რაოდენობის სუფთა, ქალისა და მამაკაცის საპირფარეშოები, გოგონებისა და ბიჭებისთვის ცალ-ცალკე, ასევე სკოლის პერსონალისთვის.

12) ყველა მოსწავლეს აქვს წვდომა სუფთა სასმელ წყალზე.

13) უზრუნველყოფილი და შენარჩუნებულია ნარჩენების განსათავსებლად საჭირო ადეკვატური სისტემა.

14) კურიკულუმი და საკლასო სამუშაოები თითოეული მოსწავლის სასწავლო საჭიროებებს შინაარსობრივად და პრაქტიკულად უჭერს მხარს. თუ ეს ასე არაა, რეკომენდებულია, შეძლებისდაგვარად, შესაბამისი სასწავლო გეგმის ადაპტაცია.

15) მასწავლებლები მზად არიან და შეუძლიათ გაუმკლავდნენ სადავო საკითხებს (რომლებიც შეიძლება წარმოიშვას საგანმანათლებლო მასალების, სახელმძღვანელოებისა და სასწავლო რესურსების შინაარსიდან გამომდინარე) და ასევე, მზად არიან კრიტიკული აზროვნების წასახალისებლად.

16) მასწავლებლები რეგულარულად ამზადებენ გაკვეთილის გეგმებს და შესაბამისად ამუშავებენ მათ.

17) საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებლები ეხმარებიან მოსწავლეებს სახელმწიფო ენის (ენების) შესწავლაში და ასევე, მხარს უჭერენ ბავშვების სურვილს მშობლიური ენის შესწავლის თვალსაზრისით, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

18) მასწავლებლები გადიან შესაბამის ტრენინგს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის მიდგომებში, რათა უზრუნველყონ მოსწავლეების აქტიური ჩართულობა სწავლის პროცესში, პატივი სცენ ინდივიდუალურ განსხვავებებს და წაახალისონ მოსწავლეთა კეთილდღეობა. მასწავლებლები იყენებენ სწავლის ისეთ მეთოდებს, რომლებიც შეესაბამება თითოეული მოსწავლის ასაკს, შესაძლებლობებსა და სწავლის გზებს.

19) მასწავლებლები რეგულარულად აფასებენ თავიანთი მოსწავლეების სამუშაოს სხვადასხვა ტიპის შეფასების გამოყენებით, რათა დაამყარონ უკუკავშირი და დაეხმარონ მოსწავლეებს უნარების გაუმჯობესებაში.

20) ყველა მოსწავლე წახალისებულია იმუშაოს მოქნილ და ჰეტეროგენულ ჯგუფში პრობლემების გადასაჭრელად, პროექტების გასაკეთებლად და სასწავლო მიზნების მისაღწევად.

21) ყველა მოსწავლე წახალისებულია გამოხატოს თავისი შეხედულებები და გრძნობები ხელოვნების საშუალებით (მუსიკა, ხატვა, დრამა, ფოტოგრაფია და ა.შ).

22) საკლასო სწავლება მოქნილია, დინამიური და აქტიური, ამასთან, მიმდინარეობს წესრიგისა და სტაბილურობის ფარგლებში.

23) თითოეულ კლასს აქვს „მოსწავლის კუთხე“ დამატებითი სასწავლო და რეკრეაციული მასალებით, ასევე მოსწავლეთა ნამუშევრების ჩათვლით.

24) სკოლა დგამს პოზიტიურ ნაბიჯებს მასწავლებლების მიღწევების გასაზიარებლად და აღიარების ხელშესაწყობად, როგორიცაა დაწინაურება, სადაც ეს შესაძლებელია და ა.შ.

25) მასწავლებლები მხარს უჭერენ თავიანთ კოლეგებს სწავლების ეფექტიანი ტექნიკისა და გამოცდილების გაზიარებით.

26) მასწავლებლებს ეძლევათ პროფესიული განვითარებისა და ინოვაციის შესაძლებლობა (მაგ., პროექტზე დაფუძნებული სწავლის ან თვით/თანატოლების რეფლექსიის ტექნიკის მეშვეობით).

27) მასწავლებლებს აქვთ საკუთარი მოსასვენებელი ან/და სამუშაო ადგილი.

28) საზოგადოება მობილიზებულია მასწავლებლებისა და მათი სწავლების მეთოდების მხარდასაჭერად.

ქმედება

თქვენს გუნდთან ერთად აირჩიეთ 10 ინდიკატორი სიიდან.

ეფექტიანობისთვის შერჩეული ინდიკატორები	ინდიკატორის სტატუსი ჩემს სკოლაში 1-დან 10-მდე	გადასადგმელი ნაბიჯები (სადისკუსიო გუნდების მიერ შეგროვებული)
1)	1.....10	
2)	1.....10	
3)	1.....10	
4)	1.....10	
5)	1.....10	
6)	1.....10	
7)	1.....10	
8)	1.....10	
9)	1.....10	
10)	1.....10	

1. 1. ზემოთ აღნიშნული სიიდან გამომდინარე, მოამზადეთ მასალა ან ფლიპჩარტები, რომლებიც გადაეცემა შეფასების პროცესში ჩართულ ყველა დაინტერესებულ მხარეს.
2. მოამზადეთ მრგვალი მაგიდები სხვადსხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად (მოსწავლეები, მასწავლებლები, თანამშრომლები, მშობლები, საბჭოს წევრები და ა.შ.). ისინი ერთმანეთს შეიძლება შეხვდნენ სკოლის დიდ ღონისძიებებზე ან დაგეგმილ შეხვედრებზე, მათი ხელმისაწვდომობის მიხედვით.
3. სთხოვეთ, განიხილონ თავიანთი შეფასება და კომენტარები.
4. დაავალეთ მათ გამოთქვან შემოთავაზებები გაუმჯობესების მიზნით.
5. შეაგროვეთ ყველა კომენტარი და შემოთავაზება თქვენს გუნდში.
6. შეიმუშავეთ მკაფიო და ქმედითი გენერალური გეგმა მომავალი 6-12 თვისთვის.
7. შეატყობინეთ გენერალური გეგმის შესახებ ყველა ჩართულ პირს.
8. დაგეგმეთ შემდეგი შეფასების პერიოდი (გამჭვირვალობა პირველ ადგილზეა!).

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული სკოლები - საკითხი 3:

კეთილდღეობასთან დაკავშირებული პოლიტიკის, უსაფრთხოებისა და დაცულობის შეფასება ჩემს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ სკოლაში:

შესავალი

ფიზიკური, გონებრივი და სოციალური კეთილდღეობა ურთიერთდაკავშირებული ძირითადი ფაქტორებია კარგი სწავლის შედეგების მისაღწევად. კარგი ფიზიკური ჯანმრთელობა ხელს უწყობს მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვას (განსაკუთრებით, საგანმანათლებლო თვალსაზრისით უფრო დაუცველი მოსახლეობიდან), ამცირებს სკოლის გაცდენებსა და გაკვეთილების ხელმეორედ ჩატარებას, ამასთან, აძლიერებს საგანმანათლებლო მიღწევებს. რაც შეეხება მენტალურ ჯანმრთელობას, ეს იმაზე მეტია, ვიდრე მენტალური დაავადებების არარსებობა. მენტალური ჯანმრთელობა ესაა ისეთი კეთილდღეობის მდგომარეობა, რომელიც ადამიანებს საშუალებას აძლევს განავითარონ სწავლის პოტენციალი, გაუმკლავდნენ სტრესს და შეინარჩუნონ კავშირი საზოგადოებასთან და მეგობრებთან, რაც თავის მხრივ, სოციალურ კეთილდღეობას უწყობს ხელს.
გარდა იმისა, რომ ადამიანის შესაძლებლობები და არჩევანი იზრდება ცხოვრებაში, ფიზიკური კეთილდღეობისა და მენტალური ჯანმრთელობის ხელშეწყობა, როგორც საგანმანათლებლო ძირითადი ფუნქცია, ეხმარება მოსწავლეებს:

- წარმატებულად წარმართონ თავიანთი საგანმანათლებლო პროცესი;
- გამოიმუშაონ ბრძოლისუნარიანობა პრობლემებთან გასამკლავებლად;
- განავითარონ პროაქტიული უნარები ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად.

უფრო მეტიც, ის გამოუმუშავებს მათ უნარებსა და თავდაჯერებულობას, საჭიროების შემთხვევაში, ნაადრევადვე მოითხოვონ დახმარება. (https://www.education.vic.gov.au/school/teachers/health/mentalhealth/Pages/promoting-mental-health.aspx 21 აგვისტო 2020)



მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეების ზოგად კეთილდღეობაზე თქვენი პასუხისმგებლობა მნიშვნელოვნად გაზიარებულია სხვა პირების მიერ, სკოლებმა ყოველდღიური პრაქტიკის საშუალებით უნდა უზრუნველყონ მნიშვნელოვანი ხელმძღვანელობა და იქონიონ დადებითი გავლენა მრავალ სფეროში:

1. **კეთილდღეობასთან დაკავშირებული პოლიტიკა** ეხმარება სკოლებს, უზრუნველყონ უსაფრთხო და დაცული ფიზიკური და პოზიტიური ფსიქო-სოციალური გარემო, რითაც, პრაქტიკულად, ეწინააღმდეგებიან ძალადობას, როგორიცაა: ბულინგი (ჩაგვრა), შეურაცხყოფა, სექსუალური შევიწროება.

2. **უსაფრთხო სასმელი წყლისა და სანიტარული საშუალებების** უზრუნველყოფა, როგორც პირველი ნაბიჯი ჯანსაღი სასკოლო გარემოს შესაქმნელად, აძლიერებს კარგ ჰიგიენურ ჩვევებსა და ქცევებს. COVID-19 პანდემიის კრიზისისგათვალისწინებით, ყველამვიცით, თურამდენად მნიშვნელოვანიაეს ყოველივე. თქვენი სკოლა, ასევე, შეეცდება უზრუნველყოს ცალკეული სანიტარული საშუალებები, გოგონებისთვის კი კონფიდენციალურობა, როგორც მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი გაცდენების შესამცირებლად მენსტრუაციამდე ან მის დროს.

3. **უნარებზე დაფუძნებული ჯანმრთელობის განათლება** - ფოკუსირებული ცოდნის, დამოკიდებულებების, ღირებულებების და შესაბამისი ცხოვრებისეული უნარების განვითარებაზე - საჭიროა შესაბამისი, დადებითი გადაწყვეტილებების მისაღებად, სიცოცხლის განმავლობაში ჯანსაღი პრაქტიკის დასამკვიდრებლად და დაუცველობის შესამცირებლად ნივთიერებების ბოროტად გამოყენების მიმართ.

4. თქვენს სკოლაში ტარდება **ფიზიკური აღზრდის ადეკვატური გაკვეთილები**, რამაც შეიძლება დადებითად იმოქმედოს თქვენი მოსწავლეების ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, თვითშეფასებაზე, კოგნიტურ ფუნქციასა და სტრესისა და შფოთვის დონეებზე.

5. **სასკოლო ჯანდაცვისა და კვების სერვისები**, რომლებიც ხელმისაწვდომია და უსაფრთხო, შესაძლოა ისეთ პრობლემებს მიესადაგოს, რომლებიც შეიძლება გავრცელებული და მნიშვნელოვანი იყოს მოკლე ან გრძელვადიან პერიოდში.

6. თქვენი სკოლა მიზნად ისახავს **გააუმჯობესოს მოსწავლეთა სოციო-ფსიქოლოგიური განვითარება** უსაფრთხო და ხელშემწყობი სასწავლო გარემოს უზრუნველყოფით, მათ შორის, ისეთ სიტუაციებში, რომლებიც დაკავშირებულია სასკოლო თამაშთან, სკოლის შემდგომ აქტივობებთან და სკოლასა და სახლს შორის გადაადგილებისას. სკოლასთან დაკავშირებულ ამ განსხვავებულ გარემოს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს იმაზე, თუ რას გრძნობენ მოსწავლეები სკოლაში სიარულის დროს და, ამასთან, იქმნება ოპტიმალური სოციალურ-ემოციური ატმოსფერო, რომელიც ხელს უწყობს ნაყოფიერი და ეფექტიანი სწავლის პროცესის ჩამოყალიბებას.

7. **თქვენს სკოლაში აკრძალულია მოსწავლეთა ფიზიკური დასჯა**. ევროპის ბევრ ქვეყნაში, სკოლებში აკრძალულია ფიზიკური დასჯა, იგი მიუღებელი და საზიანოა მენტალური ჯანმრთელობისა და ეფექტიანი განათლებისთვის. დასჯა თრგუნავს არასასურველ ქცევას მხოლოდ მცირე ხნით, თუმცა წარმოქმნის შიშის ან სირცხვილის ატმოსფეროს. იგი, აგრეთვე, ასოცირდება მენტალური ჯანმრთელობის პრობლემების მაღალ მაჩვენებელთან, მათ შორის, მოგვიანებით, ზრდასრულ ასაკში, ნივთიერებების ბოროტად გამოყენებასთან. არსებობს მზარდი მტკიცებულება იმისა, რომ დისციპლინის დასწავლა ხდება წახალისებიდან ისევე, როგორც სამართლიანი, მყარი და მკაფიოდ გადმოცემული შედეგებიდან.

მომზადება

რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას?

1. ჩამოაყალიბეთ გუნდი, ვისთან ერთადაც იმუშავებთ მთელი პროცესის განმავლობაში. თქვენს გუნდთან ერთად დაიწყეთ მიდგომის განხილვა და მხედველობაში იქონიეთ ინდიკატორთა სია.

   ა. შეარჩიეთ ისეთი ინდიკატორები, რომლებიც მნიშვნელოვანია თქვენი სკოლისთვის.

   ბ. დაამატეთ ინდიკატორი, რომელსაც თვლით, რომ სიას აკლია.

   გ. შეავსეთ ფორმა დაახლოებით ათი ინდიკატორით, რომელიც თქვენთვის მნიშვნელოვანია. დარწმუნდით, რომ შეარჩიეთ რამდენიმე ინდიკატორი, რომელზეც დარწმუნებულები ხართ, რომ კარგად ასრულებთ და რამდენიმე, რომელშიც თვლით, რომ დამატებით განვითარება გესაჭიროებათ.

2. თქვენს გუნდთან ერთად მოამზადეთ სამოქმედო გეგმა და ვადები პირველი შეფასებისთვის, რაც შემდგომი განვითარების საწყისი წერტილი იქნება. შეფასებაში ჩართეთ:

   ა. მოსწავლეები

   ბ. მასწავლებლები

   გ. სკოლის პერსონალი

   დ. მშობლები

   ე. სკოლის საბჭო

   ვ. საზოგადოების წევრები, რომლებთანაც შესაძლოა თანამშრომლობდეთ

   ზ. ...

3. შეიმუშავეთ სამოქმედო გეგმა და დრო. დარწმუნდით, რომ ისინი მოიცავენ:

   ა. სკოლის პროფილს პირველი შეფასების შემდეგ.

   ბ. გადადგმულ ნაბიჯებს (მომდევნო 6 თვეში).

   გ. მეორე შეფასებას განვითარებული მოვლენების გასაგებად.

20 შესაძლო ინდიკატორი თქვენს სკოლაში ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და დაცულობის შესაფასებლად:

1) სკოლის შენობები და ობიექტები არის სუფთა, უსაფრთხო და რეგულარულად მოვლილი.

2) ყველა მოსწავლისა და სკოლის პერსონალისთვის ხელმისაწვდომია სუფთა და უსაფრთხო სასმელი წყალი.

3) სასკოლო კვების სერვისი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უზრუნველყოფს უსაფრთხო და მდიდარ საკვებს და იცავს ჰიგიენის ყველა წესს.

4) სკოლას აქვს პოლიტიკა და ახორციელებს მას, რათა უზრუნველყოს უსაფრთხო ფიზიკური გარემო ფიზიკური და ქიმიური რისკებისგან დასაცავად, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მოსწავლეთა და სკოლის პერსონალის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას.

5) სკოლას აქვს პოლიტიკა და ახორციელებას მას, რათა მოამზადოს და ჰყავდეს კვალიფიციური მასწავლებლები, რომლებიც განახორციელებენ ჯანმრთელობისთვის საჭირო მარტივ ჩარევებს ჯანდაცვის მუშაკთან თანამშრომლობითა და ადგილობრივი საზოგადოების ჩართულობით.

6) სკოლას აქვს პოლიტიკა და ახორციელებს მას ისეთ პროგრამებთან და პროცედურებთან დაკავშირებით, რომლებიც შექმნილია ბულინგის (ჩაგვრის), შევიწროების, ძალადობის, ბავშვზე ძალადობისა და უყურადღებობის იდენტიფიცირების, პრევენციისა და რეაგირების მიზნით, რაც გასაგები და ცნობილია სკოლის საზოგადოების ყველა წევრისათვის.

7) სკოლას აქვს პოლიტიკა და ახორციელებს მას, უნარებზე დაფუძნებული ჯანმრთელობის განათლებასთან დაკავშირებით, მათ შორის, სარისკო ქცევის - ნივთიერებების ბოროტად გამოყენებისა და აივ/შიდსის კუთხით.

8) სკოლას აქვს შემუშავებული პოლიტიკა, რომელიც საშუალებას აძლევს ორსულ გოგონებს დარჩნენ სკოლაში, ასევე, წახალისებულნი იყვნენ მშობიარობის შემდგომ სკოლაში დასაბრუნებლად.

9) სკოლას აქვს და ახორციელებს პოლიტიკას, რომელიც კრძალავს ფიზიკურ დასჯას და ხელს უწყობს არაძალადობრივი დასჯის, როგორც მისაღები დისციპლინური პროცედურის, ხელშეწყობას.

10) სკოლას აქვს პოლიტიკა და პროცედურები მასწავლებლების დასახმარებლად, სამართლიანად და თანმიმდევრულად გაუმკლავდნენ აგრესიასა და ძალადობას.

11) მასწავლებლები არ მიმართავენ ფიზიკური და ემოციური დასჯის ხერხებს, ან სხვა აგრესიულ ქცევას მოსწავლეების დისციპლინირებისთვის.

12) სკოლის დისციპლინის წესები ყველასათვის პრაქტიკული და გასაგებია.

13) სკოლას აქვს ქცევის კოდექსი, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ მოსწავლეები.

14) სკოლას აქვს და ახორციელებს მისაღებ პოლიტიკას ინტერნეტის, სოციალური მედიისა და მასთან დაკავშირებული ICT ტექნოლოგიების უსაფრთხო გამოყენების შესახებ.

15) მოსწავლეები და მასწავლებლები თავს დაცულად გრძნობენ სკოლაში.

16) სკოლის პერსონალი მოსწავლეებს მოუწოდებს, იზრუნონ ერთმანეთზე.

17) მოსწავლეები დარწმუნებულები არიან, რომ მიიღებენ დახმარებასა და მხარდაჭერას, როცა იგი მათ დასჭირდებათ.

18) სკოლა აერთიანებს [ცხოვრებისეულ] უნარებზე დაფუძნებულ ჯანდაცვის განათლებას თავის სასწავლო გეგმაში. მოსწავლეები სწავლობენ საგნებსა და უნარებს, რომლებიც შეიძლება გამოადგეთ რეალურ ცხოვრებაში.

19) ცხოვრებისეული უნარების პროგრამები ადაპტირებულია ადგილობრივი სოციალურ-კულტურული ნორმების, ღირებულებებისა და რელიგიური შეხედულებების დასაკმაყოფილებლად.

20) მშობლებს აქვთ შესაძლებლობა განიხილონ სკოლის პოლიტიკა და ქცევის კოდექსები, და მოწვეულნი არიან, მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ქმედება

თქვენს გუნდთან ერთად აირჩიეთ 10 ინდიკატორი სიიდან.

ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და დაცულობისთვის შერჩეული ინდიკატორები.	ინდიკატორის სტატუსი ჩემს სკოლაში 1-დან 10-მდე.	გადასადგმელი ნაბიჯები (სადისკუსიო გუნდების მიერ შეგროვებული).
1)	1.....10	
2)	1.....10	
3)	1.....10	
4)	1.....10	
5)	1.....10	
6)	1.....10	
7)	1.....10	
8)	1.....10	
9)	1.....10	
10)	1.....10	

1. ზემოთ აღნიშნული სიიდან გამომდინარე, მოამზადეთ მასალა ან ფლიპჩარტები, რომლებიც გადაეცემა შეფასების პროცესში ჩართულ ყველა დაინტერესებულ მხარეს.
2. მოამზადეთ მრგვალი მაგიდები სხვადსხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად (მოსწავლეები, მასწავლებლები, თანამშრომლები, მშობლები, საბჭოს წევრები და ა.შ.). ისინი ერთმანეთს შეიძლება შეხვდნენ სკოლის დიდ ღონისძიებებზე ან დაგეგმილ შეხვედრებზე, მათი ხელმისაწვდომობის მიხედვით.
3. სთხოვეთ, განიხილონ თავიანთი შეფასება და კომენტარები.
4. დაავალეთ მათ გამოთქვან შემოთავაზებები გაუმჯობესების მიზნით.
5. შეაგროვეთ ყველა კომენტარი და შემოთავაზება თქვენს გუნდში.

6. შეიმუშავეთ მკაფიო და ქმედითი გენერალური გეგმა მომავალი 6-12 თვისთვის.
7. შეატყობინეთ გენერალური გეგმის შესახებ ყველა ჩართულ პირს.
8. დაგეგმეთ შემდეგი შეფასების პერიოდი (გამჭვირვალობა პირველ ადგილზეა!).

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული სკოლები - საკითხი 4:

ჩემი ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული სკოლის გენდერისადმი კეთილგანწყობის შეფასება:

შესავალი

გენდერული თანასწორობა ადამიანის უფლებების პრინციპებისა და გაეროს ღირებულებების საფუძველში დევს. ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული დებულებები კრძალავს დისკრიმინაციას სქესის საფუძველზე, რაც იმას ნიშნავს, რომ გაეროს წევრ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ ხელი შეუწყონ გენდერულ თანასწორობას. გაეროს მდგრადი განვითარების მე-5 მიზნის თანახმად, გენდერული თანასწორობა არა მხოლოდ ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა, არამედ აუცილებელი საფუძველია მშვიდობიანი, უფრო განვითარებული და მდგრადი მსოფლიოსთვის.
ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თანახმად, სქესი და გენდერი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ჯანმრთელობის მდგომარეობას. ბიოლოგიური სქესი და სოციალურად კონსტრუირებული გენდერი ურთიერთქმედებენ, რათა წარმოაჩინონ დიფერენცირებული რისკები და მოწყვლადობა ცუდი ჯანმრთელობის მიმართ, ამასთან, განსხვავებები ჯანმრთელობის მაძიებელ ქცევასა და ქალებისა და მამაკაცებისთვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შედეგებში. „გენდერი“ აღწერს ქალებისა და მამაკაცების იმ მახასიათებლებს, რომლებიც, ძირითადად, სოციალურადაა შექმნილი, ხოლო „სქესი“ მოიცავს ბიოლოგიურად განსაზღვრულ მახასიათებლებს. თუმცა, ეს ტერმინები ხშირად შეცდომით ურთიერთმონაცვლეობით გამოიყენება სამეცნიერო ლიტერატურაში, ჯანდაცვის პოლიტიკასა და კანონმდებლობაში. (https://www.who.int/genomics/gender/en/ 21 აგვისტო, 2020).

გენდერი გაგებულია მამაკაცსა და ქალს შორის როგორც აღქმადი, ისე მატერიალური ურთიერთობა. გენდერი ბიოლოგიურად არაა განსაზღვრული ქალისა და მამაკაცის სექსუალური მახასიათებლების საფუძველზე. გენდერი სოციალურად კონსტრუირებულია. იგი საზოგადოებების ცენტრალური ორგანიზაციული პრინციპია და ხშირად, მართავს პროდუქციისა და რეპროდუქციის, ასევე, მოხმარებისა და დისტრიბუციის პროცესებს. მიუხედავად ამ განმარტებისა, გენდერი ხშირად არასწორად აღიქმება, როგორც მხოლოდ ქალების წახალისება. თუმცა, გენდერული საკითხები ფოკუსირებულია ქალებზე და მამაკაცებსა და ქალებს შორის ურთიერთობაზე, მათ როლებზე, რესურსებზე ხელმისაწვდომობასა და კონტროლზე, შრომის დანაწილებაზე, ინტერესებსა და საჭიროებებზე. გენდერულ ურთიერთობებს გავლენა აქვს ოჯახის უსაფრთხოებაზე, ოჯახის კეთილდღეობაზე, დაგეგმვაზე, ნაყოფიერებასა და ცხოვრების ბევრ სხვა ასპექტზე.

გენდერი განათლების ყველა სფეროს განუყოფელი ასპექტია, რათა უზრუნველყოს არა მხოლოდ გოგოებისა და ბიჭების ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, არამედ მათთვის შესაძლებლობის მიცემა - განურჩევლად სქესისა - გამოიყენონ თავიანთი სრული პოტენციალი და გააცნობიერონ თავიანთი უფლებები. სამწუხაროდ, განათლების სისტემის წარმომადგენლები ხშირად აიგივებენ გენდერს გარკვეულ „მოსალოდნელ“ ქცევებთან („ბიჭებმა უნდა გააკეთონ“ vs. „გოგოებმა უნდა გააკეთონ“). ისინი ვერ ხედავენ სოციალურად კონსტრუირებული როლებისა და სტერეოტიპების შესახებ უფრო ფართო სურათს, რაც სწორედ ასეთ ქცევას იწვევს.

გენდერი განათლების ყველა სფეროს განუყოფელი ასპექტია, რათა უზრუნველყოს არა მხოლოდ გოგოებისა და ბიჭების ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, არამედ მათთვის შესაძლებლობის მიცემა - განურჩევლად სქესისა - გამოიყენონ თავიანთი სრული პოტენციალი და გააცნობიერონ თავიანთი უფლებები. სამწუხაროდ, განათლების სისტემის წარმომადგენლები ხშირად აიგივებენ გენდერს გარკვეულ „მოსალოდნელ“ ქცევებთან („ბიჭებმა უნდა გააკეთონ“ vs. „გოგოებმა უნდა გააკეთონ“). ისინი ვერ ხედავენ სოციალურად კონსტრუირებული როლებისა და სტერეოტიპების შესახებ უფრო ფართო სურათს, რაც სწორედ ასეთ ქცევას იწვევს.

გენდერული როლები იქმნება საზოგადოების მიერ და დაისწავლება ერთი თაობისგან მეორეს მიერ, როგორც საზოგადოების კულტურის ნაწილი. იმის გამო, რომ გენდერი არის სოციალურად შესწავლილი კონსტრუქცია (მაგალითად, ოჯახში ან სკოლაში დასწავლილი), ყველაფერი მასთან დაკავშირებული შეიძლება შეცვლადი იყოს სამართლიანობისა და თანასწორობის მისაღწევად როგორც ქალებისთვის, ასევე მამაკაცებისთვის.
რაც შეეხება სკოლასა და სწავლას, ოჯახებისა და მასწავლებლების დამოკიდებულებებმა და ქმედებებმა შეიძლება მკვეთრად იმოქმედოს გოგოებისა და ბიჭების კოგნიტურ განვითარებაზე. ოჯახები ცალსახად

ან ნაგულისხმევად განსაზღვრავენ სხვადასხვა როლს, რომლებიც ბიჭებმა და გოგოება უნდა მოირგონ და ეს პროცესი საკმაოდ ნაადრევად იწყება. კულტურათაშორისი კვლევა აჩვენებს, რომ ბავშვები გენდერული განსხვავებებისა და სტერეოტიპების გაცნობიერებას იწყებენ დაახლოებით ორიდან სამ წლამდე ასაკში. ოთხიდან ხუთ წლამდე ასაკის ბავშვები ხშირად უფრო ხისტი და სტერეოტიპულები არიან, ვიდრე მოგვიანებით შეიძლება იყვნენ. ყველა იზრდება თავისი ოჯახისა და სკოლის გავლენის ქვეშ, სადაც მრავალი წელი დიდ დროს ატარებს.

ინსტიტუციურ საგანმანათლებლო მიდგომებში სქესზე დაფუძნებული განსხვავებები სქესობრივი დისკრიმინაციის სახეობად ითვლება განათლების სისტემაში, რამაც, როგორც მამაკაცებზე, ისე ქალებზე, შეიძლება გავლენა იქონიოს მათი საგანმანათლებლო გამოცდილების პერიოდში და მის შემდგომ. გლობალურ დონეზე, მამაკაცები უფრო მეტად არიან წერა-კითხვის მცოდნენი, თუმცა, ბევრ ქვეყანაში ასევე მასშტაბურია ქალების წიგნიერების მაღალი ქულები. შესამჩნევია, რომ მამაკაცებსა და ქალებს თავიანთი საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად გენდერული განსხვავებები ახასიათებთ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი შეიძლება განათლების ერთი და იგივე დონეზე იყვნენ, ქალებისთვის უფრო რთულია მაღალი თანამდებობის სამუშაოს პოვნა და მომავალში დასაქმება, რამაც შესაძლოა ფინანსურ პრობლემებზე წუხილი გააძლიეროს. წარსულში, მამაკაცები უფრო მეტ განათლებას იღებდნენ, ვიდრე ქალები, თუმცა დასავლურ და ბევრ არადასავლურ ქვეყანაში, განათლების მიღებაში გენდერული სხვაობა ბოლო ათწლეულების განმავლობაში ბევრად შეიცვალა.

ნორმალურია თუ არა თქვენს სკოლაში ასეთი კითხვების წამოჭრა: „არსებობს თუ არა ალტერნატივა, როდესაც საქმე ეხება გოგოების მიერ კლასის დასუფთავებას?“, ან „რა მოხდებოდა, თუ ბიჭები დაასუფთავებდნენ, ხოლო გოგოები მერხებს გადააადგილებდნენ?“. ამ სახის კრიტიკულმა აზროვნებამ შეიძლება ადამიანები შთააგონოს, დაფიქრდნენ, გადახედონ ღირებულებებს და უფრო მეტად დაუკვირდნენ საკუთარ ვარაუდებს.
გოგოებსა და ბიჭებს თქვენს სკოლაში ჩარიცხვის თანაბარი შესაძლებლობები აქვთ? თქვენს სკოლაში თანასწორად ურთიერთობენ ერთმანეთთან გოგოები და ბიჭები? განსხვავებულად ურთიერთობენ მასწავლებლებთან (მამაკაცებთან და ქალებთან)? ასახულია თუ არა გენდერული სტერეოტიპები სასწავლო გეგმაში, სახელმძღვანელოებში, რომლებითაც მოსწავლეებს ასწავლიან? გარდა ამისა, ასახულია თუ არა თქვენს სკოლაში გენდერული სტერეოტიპები კლუბებსა და კლასგარეშე აქტივობებში, რომლებიც ღიაა და ხელმისაწვდომია გოგოებისა და ბიჭებისთვის?
თქვენს სკოლაში გენდერისადმი სენსიტიურობის შეფასების მიზანია თანასწორობის ხელშეწყობა. გოგოებსა და ბიჭებს შორის სასკოლო კლიმატისა და სწავლებისა და სწავლის პროცესების კუთხით ხარვეზების აღმოფხვრა მოითხოვს გულწრფელობასა და გულისხმიერ მიდგომას.

მომზადება

რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას?

1. ჩამოაყალიბეთ გუნდი, ვისთან ერთადაც იმუშავებთ მთელი პროცესის განმავლობაში. თქვენს გუნდთან ერთად დაიწყეთ მიდგომის განხილვა და მხედველობაში იქონიეთ ინდიკატორთა სია.

   ა. შეარჩიეთ ისეთი ინდიკატორები, რომლებიც მნიშვნელოვანია თქვენი სკოლისთვის.

   ბ. დაამატეთ ინდიკატორი, რომელსაც თვლით, რომ სიას აკლია.

   გ. შეავსეთ ფორმა დაახლოებით ათი ინდიკატორით, რომელიც თქვენთვის მნიშვნელოვანია. დარწმუნდით, რომ შეარჩიეთ რამდენიმე ინდიკატორი, რომელზეც დარწმუნებულები ხართ, რომ კარგად ასრულებთ და რამდენიმე, რომელშიც თვლით, რომ დამატებით განვითარება გესაჭიროებათ..

2. თქვენს გუნდთან ერთად მოამზადეთ სამოქმედო გეგმა და ვადები პირველი შეფასებისთვის, რაც შემდგომი განვითარების საწყისი წერტილი იქნება. შეფასებაში ჩართეთ:

   ა. მოსწავლეები

   ბ. მასწავლებლები

   გ. სკოლის პერსონალი

   დ. მშობლები

   ე. სკოლის საბჭო

   ვ. საზოგადოების წევრები, რომლებთანაც შესაძლოა თანამშრომლობდეთ

   ზ. ...

3. შეიმუშავეთ სამოქმედო გეგმა და დრო. დარწმუნდით, რომ ისინი მოიცავენ:

   ა. სკოლის პროფილს პირველი შეფასების შემდეგ.

   ბ. გადადგმულ ნაბიჯებს (მომდევნო 6 თვეში).

   გ. მეორე შეფასებას განვითარებული მოვლენების გასაგებად.



24 შესაძლო ინდიკატორი გენდერულად დაბალანსებული განათლებისა და ქცევის შესაფასებლად თქვენს სკოლაში:

1) სკოლის მისია და/ან ხედვა და პოლიტიკა ჩარიცხვისა ან სწავლა/სწავლების პროცესის დროს გენდერული დისკრიმინაციის წინააღმდეგ არსებობს და აქტიურად ხორციელდება.

2) გოგოებსა და ბიჭებს თანაბარი წვდომა აქვთ უფასო და სავალდებულო განათლებაზე.

3) გოგოები და ბიჭები თანაბრად მონაწილეობენ საკლასო და სკოლის წესებისა და რეგულაციების განსაზღვრაში, ამასთან, დისციპლინური ზომების განსაზღვრაში, განსაკუთრებით, დისკრიმინაციის, ძალადობისა და შეურაცხყოფის პრევენციის თავლსაზრისით.

4) მშობლები და საზოგადოების წევრები თანაბრად აფასებენ ქალ და მამაკაც მასწავლებლებს.

5) გოგოებს წვდომა აქვთ ჰიგიენის საშუალებებსა და ოთახებზე სკოლაში.

6) გოგოებს იგივე წვდომა და შესაძლებლობები აქვთ ფიზიკურ თამაშებსა და სხვა კლასგარეშე აქტივობებზე, როგორც ბიჭებს.

7) სასწავლო გეგმა ასახავს როგორც გოგოების, ისე ბიჭების რეალობასა და ყოველდღიურ მოთხოვნილებებს. თუ ეს ასე არაა, რეკომენდებულია, სასწავლო გეგმის შეძლებისდაგვარად ამ მხრივ ადაპტირება.

8) სკოლის მიერ მიწოდებული სასწავლო და სასწავლი მასალები ასახავს სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური წარმოშობის მქონე გოგოებსა და ბიჭებს თანაბარი მნიშვნელობით, პოტენციალითა და პატივისცემით.

9) სკოლის მიერ მიწოდებული სასწავლო მასალა თავისუფალია გენდერული მიკერძოებებისგან (მაგ., სხვადასხვა ენაში არსებული ქალისა და მამაკაცის აღმნიშვნელი ნაცვალსახელები თანაბარი სიხშირით გამოიყენება).

10) გოგოებისა და ბიჭების როლები, პასუხისმგებლობები და აქტივობები მოიცავს ძალაუფლების ბალანსსა და გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.

11) გენდერული სტერეოტიპები შებრუნებულია (მაგ., გოგოები შეიძლება იყვნენ ექიმები ან მეცნიერები, ხოლო ბიჭები - მასწავლებლები და ექთნები).

12) გოგოები და ბიჭები გამოსახულნი არიან ფოტოებზე, გრაფიკასა და ილუსტრაციებზე თანაბარი სიხშირითა და თანაბარი სტატუსით (გენდერული სტერეოტიპების გარეშე).

13) გოგოები და ბიჭები თანაბრად არიან გამოყვანილნი, როგორც ლიდერები ან „გმირები“.

14) გოგოებსა და ბიჭებს თანაბრად ექცევიან თავდაჯერებულობის, ინტელექტისა და პრობლემების გადაჭრის უნარების თვალსაზრისით.

15) ყველა მასწავლებელი თანაბრად მოელის, ახალისებს და ხელს უწყობს გოგოებისა და ბიჭების სწავლის პროცესში და სხვა აქტივობებში მონაწილეობის მიღებასა და ჩართულობას.

16) ყველა მასწავლებელი თანაბრად აფასებს გოგოებისა და ბიჭების შეხედულებებს.

17) ყველა მასწავლებელს სჯერა, რომ როგორც გოგოებს, ასევე ბიჭებს, შეუძლიათ მიაღწიონ თანაბარ კომპეტენციას ყველა საგანში, მათ შორის, ლიტერატურულ, მათემატიკურ, მეცნიერულ და ცხოვრებისეულ უნარებში.

18) მასწავლებლები გადიან ტრენინგს, რათა აქტიურად გამოავლინონ გენდერული მიკერძოებულობა სასწავლო მასალებში, სასკოლო გარემოსა და საკუთარ სწავლებაში, ამასთან, შეუძლიათ არსებული მიკერძოებულობის გამოსწორება.

19) სკოლის ადმინისტრაცია თანაბრად ეპყრობა როგორც მამაკაც მასწავლებელს, ისე - ქალს.

20) საზოგადოების წევრი ქალები და მამაკაცები, რომლებსაც აქვთ სპეციალიზებული შესაბამისი ცოდნა ან უნარები, მიწვეულნი არიან კლასებში, როგორც რესურს-პერსონალი.

21) გოგოები და ბიჭები თავდაჯერებულად გრძნობენ თავს გააკეთონ ისეთი არჩევანი, რომელიც შეიძლება არ ჩაითვალოს ტრადიციულად დამახასიათებლად მამაკაცისთვის ან ქალისთვის.

22) გოგოებს მხარს უჭერენ მათემატიკისა და მეცნიერებების სრულად დაუფლებაში.

23) გოგოებსა და ბიჭებს თანაბრად ეკისრებათ ისეთი პასუხისმგებლობა, როგორიცაა კლასის ან ჯგუფის ხელმძღვანელობა გარკვეულ აქტივობებში.

24) უზრუნველყოფილია გოგოებისა და ბიჭების თანაბარი წარმომადგენლობა სასკოლო საბჭოებში ან სხვა სასკოლო ღონისძიებებში.

ქმედება

თქვენს გუნდთან ერთად აირჩიეთ 10 ინდიკატორი სიიდან.

გენდერისადმი კეთილგანწყობისთვის შერჩეული ინდიკატორები.	**ინდიკატორის სტატუსი ჩემს სკოლაში 1-დან 10-მდე**	**გადასადგმელი ნაბიჯები (სადისკუსიო გუნდების მიერ შეგროვებული)**
1)	1.....10	
2)	1.....10	
3)	1.....10	
4)	1.....10	
5)	1.....10	
6)	1.....10	
7)	1.....10	
8)	1.....10	
9)	1.....10	
10)	1.....10	

1. ზემოთ აღნიშნული სიიდან გამომდინარე, მოამზადეთ მასალა ან ფლიპჩარტები, რომლებიც გადაეცემა შეფასების პროცესში ჩართულ ყველა დაინტერესებულ მხარეს.
2. მოამზადეთ მრგვალი მაგიდები სხვადსხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად (მოსწავლეები, მასწავლებლები, თანამშრომლები, მშობლები, საბჭოს წევრები და ა.შ.). ისინი ერთმანეთს შეიძლება შეხვდნენ სკოლის დიდ ღონისძიებებზე ან დაგეგმილ შეხვედრებზე, მათი ხელმისაწვდომობის მიხედვით.
3. სთხოვეთ, განიხილონ თავიანთი შეფასება და კომენტარები.
4. დაავალეთ მათ გამოთქვან შემოთავაზებები გაუმჯობესების მიზნით.
5. შეაგროვეთ ყველა კომენტარი და შემოთავაზება თქვენს გუნდში.
6. შეიმუშავეთ მკაფიო და ქმედითი გენერალური გეგმა მომავალი 6-12 თვისთვის.
7. შეატყობინეთ გენერალური გეგმის შესახებ ყველა ჩართულ პირს.
8. დაგეგმეთ შემდეგი შეფასების პერიოდი (გამჭვირვალობა პირველ ადგილზეა!).

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული სკოლები - საკითხი :

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ სკოლაში ოჯახის, საზოგადოებისა და მოსწავლეების ჩართულობა მისი განვითარების მიზნით

შესავალი

ადამიანის უფლებების პრინციპების იმპლემენტაცია ისეთი ამოცანაა, რომელიც აუცილებლად მოითხოვს მთავრობების ჩართულობას, როგორც ეს ადამიანის უფლებათა ყველა ძირითადი, მათ შორის, განათლების კონვენციის დებულებითაა გათვალისწინებული. ამავდროულად, უფრო და უფრო მეტი დემოკრატიული საზოგადოება აღიარებს მთავრობათა შეზღუდულ უფლებას, შეიმუშაოს ადამიანის უფლებების სტანდარტები და პრინციპები, თუ ყველა ადამიანი აქტიურად არ არის ჩართული ამ ყოველივეში და არ იცავს მათ. იმისათვის, რომ ადამიანის უფლებები რეალობად იქცეს, ისინი უნდა იყოს დაცული და მათ ყველამ პატივი უნდა სცეს, მათ შორის, ოჯახებმა, სკოლებმა და სხვა დაწესებულებებმა, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეების მომსახურებას, ისევე როგორც საზოგადოებები და ადმინისტრაციის ყველა დონეები.

განსაკუთრებით აქ, უნდა გესმოდეთ, თუ როგორ მჭიდროდაა დაკავშირებული გაეროს საყოველთაო დეკლარაცია ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ და ბავშვის უფლებების კონვენცია (CRC) (იხილეთ მოკლე ისტორია ქვემოთ). CRC აგრეთვე ხაზს უსვამს მშობლებისა და ოჯახების უპირველეს მნიშვნელობას ბავშვის უფლებების დაცვაში. თუმცა, არსებობს მცდარი წარმოდგენა, რომ CRC პასუხისმგებლობას ართმევს მშობლებსა და სხვა კანონიერ მეურვეებს, რათა ამ სფეროში მეტი უფლებამოსილება გადაეცეს მთავრობებს.

თუმცა, ეს ასე არ არის. რამდენიმე მუხლში კონვენცია ცალსახად მიუთითებს მშობლებისა და ოჯახების მნიშვნელობაზე, რითაც მთავრობებს აკისრებს პასუხისმგებლობას, დაიცვან და დაეხმარონ ოჯახებს შვილების აღზრდაში, როგორც მათი არსებითი როლის შესრულებაში. იგი მოუწოდებს მთავრობებს შესაბამისი ხელმძღვანელობით პატივი სცენ მშობლების, კანონიერი მეურვეებისა და სხვა აღმზრდელი პირების პასუხისმგებლობებს..

1945 წელი	მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მსოფლიოს ბევრი ერი შეთანხმდა კავშირის შექმნაზე - ამრიგად, დაარსდა გაერო, ანუ **გაერთიანებული ერების ორგანიზაცია**. მათ ერთად სურდათ მსოფლიოში მშვიდობისა და თავისუფლების მხარდაჭერა.
10 დეკემბერი, 1948 წელი	ამ დღეს გაერომ მიიღო **ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია**. ყველა ადამიანის ეს ძირითადი უფლებები მსოფლიოში ვრცელდება ბავშვებზეც. მრავალი ბავშვის გაჭირვებული მდგომარეობის აღიარებით, ეს გაგება ხელახლა განისაზღვრა ბავშვებისთვის სპეციალური სტატუსისა და დაცვის მინიჭების მიზნით.
1950 წელი	ბავშვის უფლებების დეკლარაციის პირველი შემოთავაზებული პროექტი რამდენიმე წლის განმავლობაში განიხილებოდა გაეროს წევრი სახელმწიფოების მიერ.
20 ნოემბერი, 1959 წელი	ამ დღეს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ბავშვის უფლებების დეკლარაცია, რომელიც განსაზღვრავს **ბავშვთა უფლებებს**, როგორც დაცვის, განათლების, ჯანდაცვის, თავშესაფრისა და კარგი კვების მიღების უფლებას. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი დეკლარაცია არასავალდებულო იყო ყველა სახელმწიფოსთვის, იგი იყო პირველი მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეთანხმება და კონსესუსი **ბავშვთა უფლებების** ფუნდამენტური პრინციპების შესახებ.
1979 წელი	მთელს მსოფლიოში ეს წელი აღინიშნება ბავშვის წლად. ბავშვთა უფლებებზე ყველგან ფიქრობდნენ და ყველგან განიხილავდნენ. ბავშვთა საკეთილდღეოდ სულ უფრო მეტ ადამიანს სურდა, რომ ეს უფლებები უფრო დეტალურად შემუშავებულიყო და, რაც მთავარია, კანონით სავალდებულო გამხდარიყო.
ნოემბერი, 1989 წელი	ამ დღეს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად მიიღო **ბავშვის უფლებების დეკლარაცია.** მას შემდეგ მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ბავშვის უფლებების კონვენციას.

კონვენცია ასევე მტკიცედ ემხრობა მოსწავლეთა ჩართულობას და იცავს მათ უფლებებს ჩართულობასთან დაკავშირებით, კერძოდ: ინფორმაციაზე წვდომის უფლება, აზრის გამოხატვის უფლება, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის უფლება, ასოციაციით სარგებლობის უფლება. სასკოლო კონტექსტში მონაწილეობის უფლების ხელშესაწყობად აუცილებელია საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ოჯახში, საზოგადოებასა და ზოგადად, სოციუმში, ხელშემწყობი გარემოს შექმნა. ამ კონტექსტში, გადამწყვეტ როლს თამაშობს ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ინკლუზია, ენა, არაფიზიკური დასჯა, უსაფრთხო გარემო და გენდერული თანასწორობა.

ამრიგად, სკოლის მიდგომის ყოვლისმომცველობის შეფასება მოსწავლის, ოჯახისა და საზოგადოების ჩართულობის მიმართ, მოითხოვს სამი ძირითადი სამოქმედო სფეროს განხილვას, კერძოდ:

1. მექანიზმები მოსწავლეებისთვის, რათა გამოხატონ თავიანთი შეხედულებები სასკოლო დავალების, სასკოლო ცხოვრებისა და სკოლის ორგანიზაციაში მონაწილეობის შესახებ.

2. სკოლასა და ოჯახს შორის პარტნიორობის დამყარების მექანიზმები სკოლის სამართავად და ადმინისტრირებისთვის, მოსწავლეთა გასავითარებლად და დასაცავად.

3. სკოლასა და საზოგადოებას შორის პარტნიორობის დამყარების მექანიზმები სკოლის სამართავად და მხარდასაჭერად, მოსწავლეთა დასაცავად და საზოგადოების გასაუმჯობესებლად.

მომზადება

რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას?

1. ჩამოაყალიბეთ გუნდი, ვისთან ერთადაც იმუშავებთ მთელი პროცესის განმავლობაში. თქვენს გუნდთან ერთად დაიწყეთ მიდგომის განხილვა და მხედველობაში იქონიეთ ინდიკატორთა სია.

   ა. შეარჩიეთ ისეთი ინდიკატორები, რომლებიც მნიშვნელოვანია თქვენი სკოლისთვის.

   ბ. დაამატეთ ინდიკატორი, რომელსაც თვლით, რომ სიას აკლია.

   გ. შეავსეთ ფორმა დაახლოებით ათი ინდიკატორით, რომელიც თქვენთვის მნიშვნელოვანია. დარწმუნდით, რომ შეარჩიეთ რამდენიმე ინდიკატორი, რომელზეც დარწმუნებულები ხართ, რომ კარგად ასრულებთ და რამდენიმე, რომელშიც თვლით, რომ დამატებით განვითარება გესაჭიროებათ.

2. თქვენს გუნდთან ერთად მოამზადეთ სამოქმედო გეგმა და ვადები პირველი შეფასებისთვის, რაც შემდგომი განვითარების საწყისი წერტილი იქნება. შეფასებაში ჩართეთ:

   ა. მოსწავლეები

   ბ. მასწავლებლები

   გ. სკოლის პერსონალი

   დ. მშობლები

   ე. სკოლის საბჭო

   ვ. საზოგადოების წევრები, რომლებთანაც შესაძლოა თანამშრომლობდეთ

   ზ. ...

3. შეიმუშავეთ სამოქმედო გეგმა და დრო. დარწმუნდით, რომ ისინი მოიცავენ:

   ა. სკოლის პროფილს პირველი შეფასების შემდეგ.

   ბ. გადადგმულ ნაბიჯებს (მომდევნო 6 თვეში).

   გ. მეორე შეფასებას განვითარებული მოვლენების გასაგებად.

18 შესაძლო ინდიკატორი თქვენს სკოლაში სხვადასხვა აქტორის ჩართულობის შესაფასებლად:

1) სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებს შორის ურთიერთობებს დემოკრატიული მეთოდების შესაბამისად (ე.ი. ურთიერთპატივისცემა, თანამშრომლობა, კრიტიკული აზროვნება და პრობლემების გადაჭრის გაგება).

2) სკოლა მოსწავლეებს საშუალებას აძლევს და მიესალმება მათი შეხედულებების გამოხატვას სასკოლო საქმიანობასთან და ცხოვრებასთან დაკავშირებით.

3) სკოლას აქვს მექანიზმები, როგორებიცაა: სკოლის ბიულეტენი ან გამომცემლობა, მოსწავლეთა ბიულეტენების დაფა, აზრების ყუთი ან საარჩევნო ინსტრუმენტები, რათა მიეცეთ მოსწავლეებს შესაძლებლობა, გამოხატონ თავიანთი აზრი და შეშფოთება სკოლისა და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.

4) სკოლა აერთიანებს მოსწავლეებს შეხვედრებსა და დაგეგმილ სესიებზე, რომლებიც მათ კეთილდღეობას ეხება.

5) სკოლას ჰყავს აქტიურად მოქმედი მოსწავლეთა საბჭო.

6) ყველა მოსწავლეს ეძლევა თანაბარი შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს სასკოლო კლუბების, გუნდებისა და ასოციაციების მართვასა და ხელმძღვანელობაში.

7) სკოლას ჰყავს მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაცია, რომელიც რეგულარულად იკრიბება და აქვს წერილობითი სამოქმედო გეგმა.

8) გადაწყვეტილებებზე ზემოქმედების, საკითხების ან პრობლემების წამოჭრის, გადაწყვეტილებების გასაჩივრებისა და პრობლემების გადასაჭრელად, სკოლა უზრუნველყოფს გასაგებ, ხელმისაწვდომ და კარგად გასაჯაროებულ პროცესებს.

9) სკოლა ავრცელებს ინფორმაციას სკოლის რეფორმების, პოლიტიკის, დისციპლინური პროცედურების, შეფასების, ინსტრუმენტებისა და სკოლის მიზნების შესახებ.

10) სკოლა მშობლებსა და სკოლის კომიტეტის წევრებს რეგულარულად უგზავნის სიახლეებს სკოლის აქტივობების შესახებ.

11) მშობლებისთვის სკოლის კარი მუდამ ღიაა სკოლაში შვილის/შვილების შესახებ კითხვების დასასმელად და საკითხების განსახილველად.

12) სკოლა მშობლებს ახალისებს და ეხმარება ხელი შეუწყონ შვილებს სახლში მეცადინეობის გასაუმჯობესებლად, როცა ეს საჭიროა.

13) სკოლები მშობლებთან ურთიერთობენ არა მხოლოდ მოსწავლეთა არასწორი ქცევისა ან წარუმატებლობის შემთხვევაში, არამედ პოზიტიურ ქცევასთან და მიღწევებთან დაკავაშირებითაც.

14) მშობლები სკოლას ამცნობენ შვილის საშინაო ცხოვრებაში რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ, რათა საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყონ შესაბამისი დახმარება.

15) სკოლას კავშირი აქვს საზოგადოების ხელმძღვანელ პირებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, გულისხმიერია საზოგადოების საჭიროებებისადმი და საზოგადოების წევრებთან იდეების გაცვლის შესაძლებლობას ქმნის, რათა გაიზარდოს ყველა მოსწავლის წვდომა და კეთილდღეობა სკოლაში, მიუხედავად მათი წარმომავლობისა ან შესაძლებლობებისა.

16) საზოგადოება ემხრობა სკოლას, ხმა მიაწვდინოს სკოლიდან ყველა გარიყულ მოსწავლეს.

17) სპეციალიზებული ცოდნისა და უნარების მქონე საზოგადოების წევრი ქალები და მამაკაცები მოწვეულნი არიან კლასებში, როგორც რესურს-პერსონალი.

18) სკოლა ადგილობრივ ბიზნესთან, სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან აყალიბებს პარტნიორობას, მოსწავლეთა სწავლის გასაუმჯობესებლად და ოჯახების დასახმარებლად.

ქმედება

თქვენს გუნდთან ერთად აირჩიეთ 10 ინდიკატორი სიიდან.

ჩართულობისთვის შერჩეული ინდიკატორები.	ინდიკატორის სტატუსი ჩემს სკოლაში 1-დან 10-მდე.	გადასადგმელი ნაბიჯები (სადისკუსიო გუნდების მიერ შეგროვებული).
1)	1.....10	
2)	1.....10	
3)	1.....10	
4)	1.....10	
5)	1.....10	
6)	1.....10	
7)	1.....10	
8)	1.....10	
9)	1.....10	
10)	1.....10	

1. ზემოთ აღნიშნული სიიდან გამომდინარე, მოამზადეთ მასალა ან ფლიპჩარტები, რომლებიც გადაეცემა შეფასების პროცესში ჩართულ ყველა დაინტერესებულ მხარეს.
2. მოამზადეთ მრგვალი მაგიდები სხვადსხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად (მოსწავლეები, მასწავლებლები, თანამშრომლები, მშობლები, საბჭოს წევრები და ა.შ.). ისინი ერთმანეთს შეიძლება შეხვდნენ სკოლის დიდ ღონისძიებებზე ან დაგეგმილ შეხვედრებზე, მათი ხელმისაწვდომობის მიხედვით.
3. სთხოვეთ, განიხილონ თავიანთი შეფასება და კომენტარები.
4. დაავალეთ მათ გამოთქვან შემოთავაზებები გაუმჯობესების მიზნით.
5. შეაგროვეთ ყველა კომენტარი და შემოთავაზება თქვენს გუნდში.
6. შეიმუშავეთ მკაფიო და ქმედითი გენერალური გეგმა მომავალი 6-12 თვისთვის.
7. შეატყობინეთ გენერალური გეგმის შესახებ ყველა ჩართულ პირს.
8. დაგეგმეთ შემდეგი შეფასების პერიოდი (გამჭვირვალობა პირველ ადგილზეა!).